ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ
საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ
საკითხთა კომისია

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ. №1 ტელ: (0496) 27-45-72
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia. Tel: (0496) 27-45-72

N 186
17/11/2015

186-06-3-201511171724

საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის

ა ნ გ ა რ ი შ ი

16.10.2015 წ.-დან 16.11.2015-მდე განხორციელებული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია ახორციელებს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით, საკრებულოს რეგლამენტით და კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებას.

საქმიანობას წარვმართავ 2015 წლის სამუშაო გეგმის შესაბამისად, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს ბიუროს მიერ 2015 წლის 31 იანვარს.

ზემოაღნიშნულ პერიოდში კომისიამ მოიწვია ორი სხდომა, რომლებზეც განიხილა საკითხები:

1. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
მომხს: ა. ყაზაიშვილი

2. ა(ა)ი.პ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის საქმიანობის განხილვა.
მომხს: ა.სირბილაშვილი

3. შემოსული კორესპოდენციის განხილვა.
მომხს: ლ.საჯაია
თანამომხსენებელი: თ. ბურჭულაძე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური და ინფრასტრუქტურის მუდმივმოქმედმა კომისიებმა, მუნიციპალიტეტის

ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა (ოჯახთა) საცხოვრისით უზრუნველყოფის წესი და ბენეფიციართა შერჩევის კრიტერიუმები, ერთობლივ სხდომაზე განვიხილეთ.

სასიამოვნოა, რომ პარალელურად, უსახლკაროთა პრობლემის გადაჭრის მიზნით, მერიის ადმინისტრაციულ ერთეულში, ე.წ. ყოფილი „სამხედრო ქალაქის“ ტერიტორიაზე არსებული მრავალბინიანი სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, აქტიურად მიმდინარეობს. ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, დაახლოებით, 300-მდე უსახლკარო ცხოვრობს,ამათგან წლის ბოლოსთვის, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული 90 უსახლკარო ოჯახი საცხოვრისით იქნება უზრუნველყოფილი.

კომისია აქტიურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ისმენს ინფორმაციებს პრობლემების შესახებ, აანალიზებს კვლევის შედეგებს და სათანადო რეკომენდაციერბსაც აწვდის ნებისმიერ დაინტერესებულ ორგანიზაციას და პირს. ამის დასტურია ის ფაქტი, რომ მიმდინარე წლის 21 ოქტომბერს კომისიის წევრები დავესწარით საქართველოში მცხოვრებ ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნეს საქმიანობების ხელშემწყობი პროექტის პრეზენტაციას, რომელიც გაიმართა ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში.

აღსანიშნავია, რომ პროექტი ორი მიმართულებით ხორციელდება - პოტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტთა გაძლიერება გურიისა და აჭარის რეგიონებში, მათთვის ეფექტური საგანმანათლებლო, პროფესიული და ბიზნეს შესაძლებლობების უზრუნველყოფით. ასევე სექტორთაშორის თანამშრომლობის გაძლიერება, მიგრაციის მართვის სისტემის შექმნისა და ამუშავების მიზნით. გაიმართა დისკუსია, რომლის თემა იყო ბიზნეს შესაძლებლობების უზრუნველყოფით, საქართველოდან მიგრაციის შემცირების ხელშეწყობა, პოტენციურ და დაბრუნებულ მიგრანტთა საარსებო წყაროს შექმნის ეფექტური სტრატეგიის შემუშავება. პრეზენტაციამ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები საჭიროებების კვლევას და შესაბამისად პრობლემების იდენტიფიცირებას წარმატებით ახდენენ. ჩვენის მხრივ გამოვხატავთ ურთირთკოორდინირებული თანამშრომლობის სურვილს, პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად. პროექტს ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაციის (DVV International) საქართველოს ოფისთან და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბთან პარტნიორობით.

4 ნოემბერს ქალაქ ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის სახელობის გურიის მხარის არქეოლოგიური მუზეუმ-ნაკრაძალის განახლებული ადმინისტრაციული შენობა გაიხსნა. შენობის რეაბილიტაცია და ექსპოზიციის განახლება, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში მოხდა. დამთვალიერებელს საშუალება აქვს სახლ-მუზეუმის საგამოფენო სივრცეში იხილოს ექვთიმე თაყაიშვილის ცხოვრების და მოღვაწეობის ამსახველი ფოტომასალა, ჩანახატები, რუკები.

კომისია ინტენსიურ მუშაობას იწყებს მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე. 18 ნოემბერს დღის 15 საათზე დაგეგმილი გვაქვს კომისიის რიგგარეშე

სხდომა, სადაც განვიხილავთ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს. იმისათვის რომ ჩამოვაყალიბოთ ჩვენი შენიშვნები, ინიციატივები საჭიროა ჩვენი კომპეტენციის ფარგლებში მივიღოთ საჭირო ინფორმაცია საბიუჯეტო ორგანიზაციებისგან, თუ რა ხედვები აქვთ სამომავლოდ და რა ახალ პროექტებს სთავაზობენ მოსახლეობას. კომისია აღმასრულებელ ხელისუფლებას კონკრეტულ წინადადებებსაც შესთავაზებს მომავალი წლის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

ლელა საჯაია

კომისიის თავმჯდომარე

განათლების,კულტურის,სპორტის,ახალგაზრდულ საქმეთა,ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია